№ 254 დეკემბერი 2, პარასკევი 1888 დეკემბერი 2, პარასკევი № 254

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 2 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ:

I

**ციმბირელი**

კომ. 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

ვოდ. 1 მოქ. რ. ერისთავისა

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, აწყურელი, ყიფიანი, გამყრელიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

---

ტფილისი, 1 დეკემბერი

დიდი ხანია ტფილისში არსებობს „სამეურნეო საზოგადოება“ და ისე არას დროს არ შეუპყრია საზოგადოების ყურადღება, როგორც ამ უკანასკნელ წლებში, მეტადრე რაც ფილოქსერა გაჩნდა. ახლა მილდიუ მიემატა და საუბარი უფრო გაცხოველდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, „საზოგადოებაში“ ნამდვილი მეურნე ძალიან ცოტა ესწრება. ისევ ძველებურად მომუსაიფენი და მობაასენი ესწრებიან, ვინც ზამთარ-ზაფხულს ტფილისში სცხოვრებენ, ქალაქში მსახურებენ და ცოტაოდენი რამ დამოკიდებულება აქვთ სოფელთან, ესე იგი რამდენიმე მამული აქვსთ, რომლის ნამდვილი მომვლელი თითონ-კი არ არიან, არამედ მოურავები ჰყავთ, ან კიდევ თეორიულად შეუსწავლიათ მეურნეობა და ახალ წიგნების ნალაპარაკევს საჯაროდ ღაღადებენ. პრაქტიკულად-კი მამულის მოვლისა ძალიან ნაკლებად იციან.

სწორედ რომ საქებურია, როცა კაცი პრაქტიკულად საქმეში გაბმული არ არის და მხოლოდ ერთის საქმის სიყვარულით ჰმოქმედებს, ესე იგი სჯის, მუსაიფობს, ლაპარაკობს, ბაასობს წაკითხულის საგნების თაობაზე.

ეხლა ამ „საზოგადოებაში“ აღძრულია ლაპარაკი, რა საშუალებით შევებრძოლოთ ვაზის სხვა-და-სხვა სენსაო და თითონ სოფლის მემამულეები როგორ გამოვაფხიზლოთ, რომ თავს უშველონო და ქვეყანას ააცდინონ განსაცდელიო. სამეურნეო საზოგადოება იწვევს მამულის პატრონებს, მაგრამ ქალაქში არავინ არის; მემამულეები სოფლად არიან და არავინ მოდის. რამდენად გამოსაყენებელია ეს საშუალება?

დროა საზოგადოებამ ეს ღონე უკუაგდოს. ეს მოწვევა, მოპატიჟება დარჩება უნაყოფოდ და სოფლებიდამ, ასიოდე ვერსის სიშორიდგან, არავინ აქამომდე არ ჩამოდიოდა და, როგორც ვხედავთ, არც ჩამოვა. თვით სოფლებშიაც შეიყრებიან თუ არა ერთმანეთთან მოსალაპარაკებლად, ღმერთმა იცის.

ღონის ძიება სხვაა საჭირო. რომელსაც ვისიმე შველა გვინდა, ჩვენ უნდა შრომა გავწიოთ, მაღლიდამ კიბეზე დაბლა უნდა ჩამოვიდეთ და ხელი მივაწოდოთ.

ამ შემთხვევაში ერთად-ერთი ღონის-ძიება ეს არის: სამეურნეო საზოგადოებამ თავისი გაწვრთვნილი და მომზადებული აგენტები გაგზავნოს მაზრებში, სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში. აგენტმა უნდა შეჰკრიბოს მამულის პატრონი თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა, აუხსნას ასახსნელი და აჩვენოს საჩვენებელი. ამ ხანად უმთავრესი ღონე ვგონებთ ეს არის.

ეხლანდელი მუსაიფი და სჯა „სამეურნეო საზოგადოებისა“ მომატებულ ნაწილ მემამულეთა ყურამდე ვერ მიაღწევს, რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. სათემო დაწესებულება (ზემსტვო) ჩვენ არა გვაქვს; სამეურნეო საზოგადოებას თავისი განყოფილება არა აქვს ჩვენს მაზრებში. საზოგადოების აგენტი მაზრებში დღეს უეჭველი ღონის-ძიებაა; ამ აგენტების უყოლობა ხელ-ფეხს შეუკრავს სამეურნეო საზოგადოების კეთილ განზრახვას. თუ კომისიამ ფილოქსერის გავრცელებას ხელი შეუშალა, ამ შემთხვევამ საზოგადოებას დაუმტკიცა ნათლად, რომ ადგილობრივად მცოდნე კაცების გაგზავნა უეჭველი საჭიროებაა საქმის დახმარებისათვის. სწორედ ეს გზაა დღეს ერთი უპირველესი საშველი გზა და სამეურნეო საზოგადოებამ ამას უნდა წაავლოს ხელი.

ჩვენის აზრით, სამეურნეო საზოგადოებამ ეხლავე უნდა იზრუნოს, ამ ზამთარს დანიშნოს მოგზაური აგენტები, მისცეს ინსტრუქცია და გაგზავნოს მოსავლელად მაზრის სხვა-და-სხვა ქალაქებსა და სოფლებში, შეაკრებინოს ადგილობრივად ვრცელი ცნობები, გაამართვინოს კრებანი მემამულეთა, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ; წააკითხვინოს გასაგონს ენაზე საუბარი ვაზის ეხლანდელ სხვა-და-სხვა სენის შესახებ, მოჰკითხოს შეკრებილ მემამულეთა მათი აზრი და განზრახვა, რას აპირებენ, ან რა ღონის-ძიებით შეუძლიანთ ბრძოლა. ეს აგენტები მაზრების მოვლით და ცოცხალის საუბრით გამოაფხიზლებენ და გამოაღვიძებენ მემამულეთა, თუ ერთგულად აღასრულებენ თავიანთს მოვალეობას.

თუ მართლა ვენახების დაღუპვას უნდა მოველოდეთ, ნუღარ დავკარგავთ დროს. მოამზადეთ ჩვენი მემამულენი ამ ზამთარს აგენტების შემწეობით, შეაგნებინეთ მემამულეთა, რომ დიდი უბედურება მოელის, რომ ქვეყნის სიკეთე მოითხოვს მემამულეთაგან ჭირთან სასტიკს ბრძოლას. ბროშურების თარგმნა და ხალხში მოფენა დიაღ საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ ეგ ცოტაა. ცოცხალი სიტყვა და საუბარი უფრო ჩქარა მოქმედობს. პირველი ნაბიჯი უეჭველად ამ ზამთარშივე უნდა გადასდგას საზოგადოებამ, რაიცა ბევრად წინ წასწევს საქმეს და ხელს მოუმართავს.

პ.

## ახალი ამბავი

*** როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, ქრისტეშობისთვის 22 გ. ნ. სუნდუკიანცის 25 წლის სამწერლო და სათეატრო მოღვაწეობას იდღესასწაულებენ ტფილისში მისი პატივისმცემელნი. სომხურ გაზეთებში რამდენიმე ამბავი იყო დაბეჭდილი ზოგიერთ ადგილებიდგან, რომ სომხეთის მაზრებში იუბილეის დღეს სომხურ ენაზედ აპირებენ პატივცემულ მწერლის პიესების წარმოდგენასაო. ამ

---

## ფელეტონი

### დემეტრეს სახლობა

(მოთხრობა)

IV*)

**ნამუსიანი სიღარიბე, თუ უნამუსო სიმდიდრე**

თუმცა ყაზარამ ბევრი რამე გვიამბო თავისს თავზე, თითქმის გაგვაცნო თავისი ვინაობა, მაგრამ ბევრი იპლუტა და დამალა; ჩემი ყაზარა ერთობ გამოცვეთილი კაცია და რამდენსამე სიტყვას კიდევ ვიტყვი იმისის ცხოვრების დასასურათებლად. ადრინდელი „ქეციანი ყაზუა“, აწინდელი ყაზარ სტეფანიჩი, ნასოედაგრალია. კევიდამ დაიწყო იმისი ვაჭრობა. როგორც იყო გაიჩინა ერთი ულაყი ვირი და იმითი დაჰქონდა სოფელ-სოფელ საწვრილმანო; სოფლის ბიჭებისაგან მოსვენება არა ჰქონდა; დაუშენდნენ ქვებს ვირზედ აკიდებულს საწვრილმანოს ყუთებსა და გაჰქონდა რახი-რუხი; თუ ვინიცობაა სიტყვას შეუბრუნებდა კვიმატს ბავშვებს, მაშინ ბავშვები ჭიანჭველის გორასავით დაეცებოდნენ, ტლოკებს სულ სახრით აუწვავდნენ, ზოგი ყურზე დაეკიდებოდა, ზოგი ცხვირზე და მთლად კიბოსავით აწითლებულს გაისტუმრებდნენ ხოლმე. უფრო იმიტომ ემტერებოდნენ, რომ ურიას ჰგვანდა; ურიასავით ლიჯინებდა და ურიასავით უყვარდა ჩაჯდომა ქალებში, რომელთ წინ გაშლიდა საწვრილმანოსა და გაუთავებლად ეჯიჯინებოდა. თუმცა სოფლად ასე აბუებული ჰყავდათ „ქეციანი ყაზუა“, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, იგი, როგორც დამშეული ერთი რამე ნადირი, ჩუმად და აუჩქარებლივ მისდევდა ნიშანში ამოღებულს შეძენის გზას. ყაზარა სოფლად აგროვებდა დიდ-ძალს კვერცხსა, ვარიებსა, დედლებსა და სხვა შინაურს ფრინველს; წაიღებდა ყველა ამ ნაშოვნს, საწვრილმანოზე გადაცვლილსა, და ქალაქ ადგილას მოგებით ჰყიდდა; დაავსებდა ხელ-მეორედ ყუთებს და კიდევ გამოსწევდა სოფლისაკენ, რომელიც ნელ-ნელა ზრდიდა თავისის სისხლ-ხორცით „ქეციან ყაზუას“, რომ გამხდარიყო „ყაზარ სტეფანიჩად“. კარგად მოიწია ყაზუა კვერცხებისა და ვარიების ყიდვაში. თავი შეისწავლა თუ არა, ოც წლამდის ასე ეთრია და ეთრია. ბოლოს ცოტა ზევით აცოცდა, ერთს კიბეზე შედგა ფეხი და „ქეციანი ყაზუა“ ახლა ყაზარად გადაიქცა იმიტომ, რომ ბაზაზის დუქანი გაიკეთა. აქაც ხარისტამ არ უღალატა: ისეთს მივარდნილს უბანში გამართა დუქანი, სადაც სულ მდაბიო ხალხი სცხოვრებდა და ბაზარზედ შორს იყვნენ. ამ დღე ქალებით იყო სავსე იმისი დუქანი; მეზობლის გოგოებს ლილიფარას არ ულევდა. ყველა ალერსით ექცეოდა; ყველა საალერსო სიტყვას ეუბნებოდა.

— ყაზარო, ყაზარო! შენს მზესა, ეს და ეს გამოგზავნე.

— ყაზარჯან, რა ჯეელი გახდიდა!

— ყმაწვილო, რა კარგი ბუზიკის დაკვრა იცი!

სულ ასე ელაპარაკებოდნენ. მართალია, ის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ როცა ვირით დადიოდა სოფელ-სოფელ, თან განუშორებლად დაჰქონდა ბუზიკა, მუდამ უკრავდა გზა და გზა და ისე გაიმართა, რომ სადაც ქორწილი, ან ლხინი იყო, ყაზარაც იქ იყო გამოჭიმული. მაშინ, როდესაც ბაზაზის დუქანი გამართა, ხომ ისეთი დახელოვნებულიყო, რომ დუქნის კარებიდამ აღარა შორდებოდნენ. სალდათებისაგან ხომ თავ-პირი ჰქონდა მოჭმული; დაბინდდებოდა თუ არა, მოიქრებოდნენ სალდათები და ბუზიკის ჰყვიტინს საზღვარი აღარა ჰქონდა; ყოველ დილით ერთს დიდს თაბახს ლილიფარის ნაფცქვენს აჰკრეფდა ხოლმე დუქნის კარებიდამ; დღე და ღამე თითქმის ერთს მომცრო ტომარას ასალებდა ამ სალდათებზე. სალდათებისაგან ერთი ორი რუსულიც ისწავლა, თანდათან გამოიქნა და გამოიცვითა. ვნახოთ, სულ ოთხ წელიწადს არ გაევლო ბაზაზობის შემდეგ, რომ ყაზარამ მაკარიაში თავი ამოჰყო, დაბრუნდა, დუქანს გაუმატა. დაბრუნდა თუ არა, ყაზარა ანაზდად ყაზარ სტეფანიჩად გადაიქცა. როგორ ჰსიამოვნებდა, რა გვარად უცმუკავდა გული, როცა ვაჭრები, რომელსაც ის ადრე კვერცხებსა და ვარიებს მიჰყიდდა ხოლმე, ხელს გაუშვერდნენ და ამ გვარად მოიკითხავდნენ:

— ოო, ყაზარ სტეფანიჩს ვახლავართ! სხვა, როგორი ვაჭრობა გაქვს?

ყაზარა ახლა სუფთად დადიოდა; კვირაში ორჯელ პირს იპარსავდა, სადალაქოში-კი აღარა, პარიკმახერთან. მაღაზიას ზედ წარწერა გაუკეთა რუსულად და ქართულად, მაგრამ ტერტერამ დაიბარა, კარგა შესტუქსა და უთხრა:

— ეა, ყაზარ სტეფანიჩ, ეგ რა საქნელია, რაც შენ გიქნია?

— რას მიბრძანებ, ტერტერჯან?

— იმასა, შვილო, რომ ღმერთს შენთვის შნო მოუცია, მაგრამ შენ გვარს ნუ დაივიწყებ, შენ ჰაიასტანელი ხარ; მაღაზიაზე შენი გვარი სწორე არ გიწერია: დააწერე, თუ მაღაზია მიკირტიჩიანისაა და არა მიკირტუმაშვილისა, ან მიკირტუმოვისა.

ყაზარა ახლა მიხვდა ვინც იყო და რაც იყო; დღეიდამ მართლ-მორწმუნე ჰაოსიანი შეიქმნა. აქა-იქ ოჯახებში ლაპარაკიც დაიწყეს ყაზარაზე; ისე ლოტო არ გათავდებოდა, რომ დედებს იმაზე არ ჩამოევგდოთ ლაპარაკი და ქალები არ შაეღირებინათ. ყაზარ სტეფანიჩი მეორედაც წავიდა მაკარიაში, ბლომად მოიტანა საქონელი; დიდს ქუჩაზე გამოსჭიმა მაღაზია, ორის წლის შემდეგ გაკოტრდა და ბლომად ამოიღო ფული. თავ-პირი მოაჭამეს მაქანკლებმა, აი ეს შეირთე და აი ესაო. მაგრამ იმისს გაუმაძღარს სულს ფული სწყუროდა, გაეცალა სამშობლო ქალაქს პატარა ხანს და ჩავიდა ტფილისში. აქ ერთს დიდს ვაჭარს შეეყარა ამხანაგად; დიდი ქარვასლა სავსე ჰქონდათ მაკარიიდამ ნდობით მოტანილის საქონლით. ერთს მშვენიერს ღამეს ყაზარამ ამხანაგის რჩევით გადასწვა საქონელი და ქარვასლაც ზედ მიადევნა. პოლიციამ ბევრი იწვრილა, იძია, მაგრამ ველარას გახდნენ; ამ გვარად ყაზარამ დიდ-ძა-

*) იხ. „ივერია“ № 252 და 253.

გვარსავე წარმოდგენას, „მშაკის“ სიტყვით, აპირებენ თურმე პეტერბურგის მოსწავლე ქართველები და სომხები ქართულსა და სომხურს ენაზე. სასურველია, რომ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებშიაც, საცა თეატრის მოყვარენი წარმოდგენებსა ჰმართვენ, არ დაივიწყონ ბ-ნ სუნდუკიანცის მოღვაწეობა, რომელიც ქართულის სცენის მოღვაწეობადაც უნდა ჩავთვალოთ. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ იმის პიესების სომხურიდამ ქართულად თარგმნაში და აგრეთვე ქართულად წარმოდგენების გამართვაში იუბილიარს დიდი მონაწილეობა მიუღია და დიდი შრომა გაუწევია.

*** ამ ჟამად ქალაქში ნავთი შესამჩნევად გაძვირდა. ამ სამის კვირის წინად გირვანქა 6 კაპეიკად იყიდებოდა, მხოლოდ გავლილ კვირას გახდა 3 კაპეიკი. ამასთანავე ნავთი ვერ არის კარგი, სინათლე არა აქვს. შეხვდებით ზოგჯერ ისეთს, რომ ლამპარი ჰბჟუტავს, პატრუქს რუჯავს, და სინათლე-კი არა აქვს.

*** ეს მესამე წელიწადია, რაც შუა ქალაქში ალარსად აყენებენ შეშის ურმებსა და სადგომად ქალაქმა ვერის მეიდანი დანიშნა. „ვერა“ ერთი შორი ნაპირი ადგილია და აქ მისვლა ქალაქელებს ძალიან უძნელდებათ. მისვლის გარდა ურმის წამოყვანაც ძნელია; დიდ ქუჩებზე არ უშვებენ და ამის გამო ისეთ ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩებზე უნდა ატაროთ, რომ პირუტყვი სრულიად იქანცება. სწორედ საცოდაობაა ამოდენა ხალხის წვალება. ქალაქის გაჯიბრება მეტისმეტია: არა, უეჭველად ვერაზე მსურს შეშის მეიდანიო. ნუ თუ მართლა სხვა ცარიელი ადგილი ალარ იპოვება შუა ქალაქში?

*** ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისში ბევრგან მეფურნეები და მეთორნეები მეტად საძაგელ პურს აცხობენ. ხშირად ჰხედავთ და სჭამთ ულეიარ პურს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და პურის მცხობელთა თავგასულობას ბოლო უნდა მოეღოს.

*** მის ყოვლად მაღალ უსამღვდელოების, ეგზარხოსის პალადის განკარგულებით იქმნა გადმოყვანილი ტფილისში ივანე ნათლის-მცემელის ეკკლესიაში, რომელიც იმყოფება ვერაზე, ცხინვალის ბლალოჩინი მღვდელი ზაქარია გძელიშვილი; გძელიშვილის ადგილას ცხინვალში დაინიშნა ვერის ეკკლესიის მღვდელი მელითაური.

*** გარდაცვალებულის ახალციხის ბლალოჩინის მღვდლის დავითიშვილის ადგილზედ დაუნიშნავთ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი დიმიტრი ხახუტაშვილი, რომელიც ამ დღეებში უნდა აკურთხონ მღვდლად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში 30 გასულს ნოემბრისას მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი. ეგზარხოსი მობრძანდა სემინარიაში საათის ათზე კრებულითურთ. წირვის დროს გალობდა ორი ხორო სემინარიის მგალობელთა. თუ არა ვსცდებით, ეს პირველი მაგალითია, რომ სემენარიელების ხორომ იგალობა ეგზარხოსის წირვაზე; ერთი გუნდი მგალობელთა გალობდა რუსულად და მეორე ქართულად. ქართულად იმდენად კარგათ გალობდნენ, რომ ერთმა სრულიად უცხო დეკანოზმა მამა კორშმა‘ რომელიც შემთხვევით დაესწრო ამ წირვაზე და რუსეთიდგან ქ. ყარსშია გადაყვანილი, იმდენად მოიწონა ქართული გალობა, რომ ფულით დაასაჩუქრა მგალობელთა ხორო. წირვის დროს წარმოსთქვა ქადაგება სემინარიის ინსპექტორმა მღვდელ-მონოზანმა ნიკანორემ. წირვა გათავდა პირველს საათზედ. წირვის შემდეგ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა თავისის კრებულითურთ მიწვეული იყო სადილად სემანარიის რექტორთან. ამ დღეს, თუმცა დანიშნული იყო, არ მოხდა სემინარიასთან დაარსებულის ძმობის წევრთა კრება. ეს კრება გადაიდო იანვრისათვის. სრული სამი საათი იყო, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა წაბრძანდა სემინარიიდგან. მამა რექტორმა დაასაჩუქრა სემინარიის შეგირდები ფულით.

*** **სოხუმიდგან** გვატყობინებენ: აგერ ორი კვირაა, რაც აქ გამუდმებული წვიმებია. ამ წვიმების წყალობით ბევრი სიმინდი ფუჭდება მინდვრად.

*** **აფხაზეთიდგან** გვწერენ: აქ, როგორც საზოგადოდ ყველგან ჩვენს კავკასიაში, ძლიერ ნაკლებად მოვიდა ღვინო. ვგონებთ, რომ გაზაფხულზე ბოთლი ღვინო აქ ათ შაურ ნაკლებ არ გაიყიდება.

*** **სოფ. მლეთი** (მთიულეთი). 26 ნოემბერს დუშეთის მაზრაში სამხედრო ბეგარის გამგე კრებული უნდა შეკრებილიყო, როგორც „ივერიის“ მე-243 №-ში იყო მოხსენებული, ფასანაურში მესამე განყოფილების ჯარის-კაცთა მოსაწვევად, მაგრამ რადგანაც რამდენიმე სამამასახლისო, მაგალითად, ყაზბეგისა, სნოსი, სიონისა, აბანოსი და კობისა 40—60 ვერსზე ძევს ფასანაურიდგან, ამიტომ სამხედრო კომისიამ ამოირჩია ცენტრი იმ თერთმეტ სამამასახლისოსი, რომელნიც იყვნენ მოქცეულნი სამხედრო ბეგრის მესამე განყოფილებაში. ცენტრი არის ქვეშეთი—მლეთიდგან 4 ვერსზედ. 20 ნოემბერს, კვირა დღეს, ქვეშეთში გამოცხადდა კომისია. მამასახლისებმაც წარმოადგინეს გამოწვეული ჯარის-კაცები, რომელთა რიცხვი 200 იყო. სამი-ოთხი ამოდენა მაყურებელი დაესწრო. აგრეთვე ჯარის-კაცების დედ-მამა, ნათესავები და ნაცნობები. მაყურებელთა შორის იყვნენ მთიულის დედაკაცები ქალამნებში და დურა ტყავებში გახვეულნი. მათთვის რომ გეკითხნათ დარბაზის კარებზედ რას აკეთებდნენ, რას არიგებდნენ,— გიპასუხებდნენ: „ჩემი ალდგომელაი მიჰყავთაი ჯარშიაი და უნდა ნაჩალნიკს შევეხვეწოი, რომ ალდგომელაი დამიბრუნოსაი“. რასაკვირველია, აბა ნაჩალნიკი რად გამოაბრუნებდა იმათ შვილებს, თუ კანონით კენჭი ერგებოდა და არავითარი შეღავათი არ ექნებოდა ალდგომელას. ღვთის მადლით, «აბლაკატების» ხსენება ქვეშეთში არ იყო, როგორც ახალგორში. არ ვიცით, სიცივისა შეშინებოდათ, თუ სხვა რამე მიზეზი იყო იმათის დაუსწრებლობისა. არც „პროტექტორების“ — მფარველების ხსენება იყო ქვეშეთში. მაინც და მაინც მთიელს ქართველებს და ოსებს აბა ვინ ეყოლებოდათ მფარველი? ერთის სიტყვით, მთიულთა მფარველი იყო იმათი სიმართლე და ილბალი. აი ეს იყო თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ წელს სამხედრო ბეგარის საქმემ ქვეშეთში მშვიდობიანად და წესიერად ჩაიარა. სამხედრო ბეგარის საქმემ ექვსი დღე გასტანა. მეექვსე დღეს დაფიცეს ჯარის-კაცები, პარაკლისი გადაუხადეს და სადილად მიიპატიჟეს ქვეშეთის პოლიციის მოხელის თ. თუმანიშვილის სახლში. დაფიცების წინადაც და სადილის დროსაც მაზრის უფროსმა ბ-ნმა ჩეხოვსკიმ სიტყვა უთხრა ჯარის-კაცებს სიტყვა ასე დაათავა პატივცემულმა მოხუცმა უფროსმა: „ქართველი ხალხი ყველგან და ყოველთვის მამაცი და ერთგული ყოფილა მეფისა და აბა თქვენც, შვილებო, ეინძლო მიჰბაძოთ თქვენს წინაპართ და არ შეარცხვინოთ ქართველი მხედრობა“. ჯარის-კაცებმა საღამომდე ილხინეს. საღამოზე გამოუცხადეს და დაუნიშნეს ვადა, როცა უნდა გამოცხადდნენ დუშეთში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ წლის „ივერიის“ № 246-ში ეწვრა ამბავი შესახებ მოსამზადებელ კლასის მესამე განყოფილების გამართვისა. მიკვირს, აქამდინ რატომ არა ყოფილა გამართული მოსამზადებელ კლასის მესამე განყოფილება, რომ მოწაფენი უფრო მომზადებულნი გადასულიყვნენ პირველ ნორმალურს კლასში. დიაღ, ფრიად საჭირო და სასარგებლოა, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში გაიმართოს მესამე განყოფილება მოსამზადებლის კლასისა, მაგრამ მისთვის ცალკე მასწავლებლის განწესება-კი მეტი ბარგი იქნება. უმჯობესია, რომ მესამე განყოფილება ჩაჰბარდეს ახლანდელ მეორე განყოფილების მასწავლებელს, ხოლო მეორე-კი — პირველ განყოფილებისას, რომელსაც ადვილად შეუძლიან ორივ განყოფილების ერთად მართვა სასყიდლის მოუმატებლად, როგორც არა ერთგანა და ორგან ვხედავთ მაგალითებს. ამით, ჩვენ ვფიქრობთ, თავის თავად მოისპობა ის უსიამოვნება, რომელიც ჩამოვარდნილა გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობასა და სამღვდელოებას შორის მესამე განყოფილების გამართვის გამო.

ე. მ.

# უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ამას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ავსტრი-ვენგრიის პარლამენტს უნდა რაიმე წამალი დასდოს გლეხ-კაცობის გაჭირებულს ყოფას და რითიმე მოახერხოს, რომ გლეხკაცობა უბინაო ბოგანად არ გადაიქცეს. ამისათვის პარლამენტმა თავისი ყურადღება მიაქცია შუა-შეძლების გლეხ-კაცს და მოინდომა უფრო მისი დაფარვა და დაცვა კანონ-მდებლობის შემწეობით. მცირე მამულის პატრონები-კი და აგრეთვე დიდნი მემამულენი გლეხ-კაცობაში უყურადღებოდ დასტოვა. მცირე მამულიანს მაინცა და მაინც ველარა ეშველება-რა და დიდმამულიანს ხომ რაღა შველა ეჭირებაო. კანონით შველა შუა შეძლების გლეხ-კაცისა ბევრს მაინც არა სჯერა და დიდად ეჭვობს, რომ ახალმა კანონ-პროექტმა საქმეს უშველოს რამე. აი რა ზღაპარი უთქვამს პარლამენტში ერთს გლეხ-კაცს-დეპუტატს:

„იყო და არა იყო-რა, იყვნენ ორნი ძმანი. ერთი მინისტრი მეურნეობისა და ხვნა-თესვისა და მეორე გლეხკაცი. მინისტრი თავისთვის კარგად სცხოვრობდა. გლეხი-კი დიდს გაჭირებაში იყო. ერთხელ სთქვა ამ გლე-

---

ლი ფული იგდო ხელში. ეხლა-კი დიდი კაცი გახდა; ევროპიულად ჩაიცვა; წვერი დაიყენა ახალ-მოდურად. ერთის სიტყვით, „ანგლიცკომუ ბრუკუმ ნა ნოღუმ ნადელსია“ და „ზოლოტომუ ცეპოჩკუმ ნა კარმან პოვისილსია“. გახდა კაცი რაღა, კაცი ფულიანი, რომელსაც ჩვენს დროში დიდი ყადრი და ყამი აქვს. ახლა-კი ცოლი შეირთო. ყაზარ სტეფანიჩი ძიელ გასალახანავდა წოწვასა და თრევაში; გარყვნილის კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი; მთელს ქალაქში თითით საჩვენებელი იყო, როგორც ავ-ხორცა ადამიანი, მაგრამ ფულის გამო ყველგან მიღებული. რას არ ამბობდნენ ქალაქში ყაზარაზედ? ვითომ ნათესაობა არა სწამსო; თვით ღვიძლ-ნათესავებს არ ინდობსო; სახლი და ბანი დაქცეული აქვთ იმისაგან ზოგიერთს ქვრივებსაო. იმ დროს, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, ყაზარ სტეფანიჩ მიკირტუმიანი თითქმის სამოც წელშია მიღწეული, მუცელს ძლივს დაათრევს, თმა უცნაურად გასთეთრებია, მაგრამ თავისას არ იშლის; სისხლის-გუდა ბუნება მისი მაინც ჰყარდა და სულ გარყვნილობის მორევში ტრიალებდა. ამ ხანშიაც, თუ თვალ-საჩინო ქალს დაინახავდა ქუჩაზე, უსათუოდ გამოეკიდებოდა, დაუწყებდა დევნასა და ცქერას; ბევრჯელ გალანძღულა, ბევრჯელ თავს ლაფი დაუსხამთ, მაგრამ იმისათვის არაფერი იყო; იმას სანთელ-საკმლად მიაჩნდა. აი ამისთანა კაცს ჩაუვარდა ხელში ნენეს ბედი და მთლად დემეტრეს სახლობისა. ნენეს ეგონა, რომ ტკბილი ბინა იშოვნა; ეგონა, ერთგულად ვემსახურები, ვალიდამ თავს დავიხწევ და ღმერთი მიშველისო.

ყაზარა ძალიან ტკბილად ექცეოდა ნენეს პირველ ხანებში; შვილები დაუმოსა; ილო ხელობაზე ებარა და კვირა-უქმობით ისიც მოვიდოდა და ყაზარას ალერსს ღირსებოდა ხოლმე; ნენეც ლაზათიანად გამოდიოდა. რასაც ჰშოულობდა და ჰპოულობდა, გოგოს უნახავდა; სასიძოც ამოირჩია, ყაზარას მებაღე. ბოლოს და ბოლოს ყაზარამ ნენეს ხუმრობა დაუწყო; მალ-მალ თავში ხელს წამოჰკრავდა ხოლმე ალერსით და თან ფულს აჩუქებდა: გოგოს შეუკერე რამეო, ეტყოდა ხოლმე. დიდხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ყაზარას დაუდგა დედაკაცად, რომ ნენეს მაინც კიდევ უმუხთლა ბედმა. ყაზარამ საზიზღარი ხუმრობა დაუწყო. ნენეს გულზედ ცეცხლი მოეკიდა და შეუდგა ბჭობა-რჩევას; დაუწყო გულმა სულთან ბრძოლა; ორი უცნაური ხმა ჩასჩიჩინებდა ბედკრულს ნენესა: გაუნამუსოვდეს, თუ არა? თუ გაუნამუსოვდება, ყაზარა ქალბატონივით აცხოვრებს, კარგად ჩააცმევს, დაჰხურავს, შვილებს პატრონად გაუჩნდება, თინას კარგად დააბინავებს. მაგრამ რომ გაუნამუსოვდეს, მზეს რაღა თვალით და როგორ-ღა შეჰხედოს? რას იტყვის ქვეყანა! ხომ იმისს შვილებს თავი მოეჭრებათ და ყველასაგან თითით საჩვენებელი გახდებიან; ხომ წაძრახის დედის შვილები უნდა დაუძახონ. ჰფიქრობდა, რა სჯობიან: ნამუსიანი სიღარიბე, თუ უნამუსო სიმდიდრე და ფუფუნებაო? სად ჰქონდა ნენეს ჭკუა-გონების იმდენი ძალ-ღონე, რომ ესეთი მძიმე საკითხავი გარდაეწყვიტნა. მაგრამ საცა კაცს ჭკუა ვერ გაუჭრის ხოლმე, იქ გულიც ჭკუა-გონების ალაგს იჭერს, და რასაც იგი უცაბედად წასჩურჩულებს, კაციც უგონებს და ხშირად დაუჯდება ხოლმე გულის ნარჩევ-ნაბჭობი. ნენეც დაემორჩილა გულის რჩევა-ბჭობას, მტკიცედ გადასწყვიტა და ამჯობინა ნამუსიანი სიღარიბე უნამუსო სიმდიდრეს, უნამუსოებით მოპოვებულს უზრუნველს ცხოვრებასა და სიცოცხლეს.

### V

#### ციხეში

ის-ის იყო ცისკარმა გააცისკრანათელავა აღმოსავლეთი, ტყიანის მთიდამ ამოეყო მას ლამაზი თავი; ხის ფოთლებს, რომლებსაც განთიადის ნიავი აცელქებდა, ზედ დაჰკანკალებდნენ სხივნი ცისკრისანი, ზედ დასცელქობდნენ; ფოთლები ცელქობდნენ და სხივი, ზედ დაბნეული, ათას ფეროვნად ჰრიალებდა. ღამე თანდათან დღედ იწურებოდა. ამოჰყო თუ არა ყური ცისკარმა, მინდვრის მამალმა, ღამის მეხრის ნუგეშმა, ბამბა-ქულას ბუჩქიდამ მაშინვე დაიფრთხიალა, თავისი მხიარული გალობა—„ტრრრ“ შესძახა, არე-მარე შეამკო ტკბილის ჭიკჭიკით და მძინარს, მიბინარებულს ბუნებაში სიცოცხლე დაატრიალა. ცისკარმა ამოიმაღლა და თავისი წმინდა და ნარნარი სხივები მიაყენა, მოჰფინა დახავსებულს კედლებს ციხისას, სადაც ის იყო ციხის ჭოტმა, დაინახა რა სინათლე, შესწყვიტა თავისი გულ-საკლავი, ბაიყუშური ბაიათი. წმინდაა ეს ციხე, შეღებული წმინდა სისხლითა მამულის ერთგულთა ძეთა, როგორც სხივები ცისკრისა. ღღეს მას, მის ბერს კედლებს, მის ჭალარას, რომელსაც ჩვენ ხავსს ვეძახით, ეალერსება, სიყვარულით ეკონება მხოლოდ მნათობთა სხივი. მრავალ მოწამე ციხე დაღონებული გადმოჰყურებს ძირს ქალაქს, მისი ხავსიანი კედლები თითქო ჩამოჰქვეითინებენ ძირს, დაბლა, ადამიანთა სადგურს ქალაქს. ციხიდამ ცისკრის სხივებით ნარნარად განათებულის ქალაქისათვის რომ გადმოგეხედნათ, იტყოდით: აი სწორედ ეს არის იგი სამოთხე, რომელიც პირველს კაცს უბოძა საცხოვრებლად უზენაესმაო; სამხრეთით მდინარე, დასავლეთით მდინარე, ჩრდილოეთით კიდევ მდინარე და თვით ქალაქის გული დასერილი პატარ-პატარა ნაკადულებითა, თვით ქალაქი, ე. ი. სახლები, გახვეული, მთლად შთანთქმული ბალ-ვენახებში, რომელიც წარმოადგენს ერთს ობოლს წალკოტს. დიაღ, ამ ქალაქს შუა, მაღლა გორაზედ, ამართულია ციხე, რომელიც მთელს გორას რკალივით აქვს გარს შემორტყმული, რომელიც იყო მცველი და მფარველი ჩაგრულის ერისა, მოწამე ბევრის ავისა და კარგისა, რომლის კედლები შეღებულია მამულის ერთგულთა შვილთა წმინდა სისხლით; ძირს-კი გაჭიმულა ქალაქი, სავსე ბოროტებით, ადამიანთა შურითა ურთიერთისადმი, სადაც ძმაძმას ბადეს უგებს, ჰყიდის, ჰქენჯნის

ხმა-კაცმა: წავალ ჩემს ძმასთან, იქნება მიშველოს რამეო. გამოუცხადა დანარჩენს გაჭირებულს გლეხ-კაცობასაც ეს ამბავი და გასწია. მინისტრმა მოუსმინა ძმას ყოველივე და მერე უთხრა: „ეხლა მესმის, რომ დიდად გაჭირებული ყოფილხარო. მთავრობის სამღვთო ვალია გიშველოს, რადგან შენ ხარ მტკიცე სვეტი, რომელზედაც სახელმწიფოა დამყარებულიო. ჩვენც უთუოდ გიშველით ბრძნულის კანონების შემოღებით. ახლა წადი შინ მშვიდობით, მე, ხომ იცი, დიდი მომხრე ვარ გლეხ-კაცობისა“. გლეხ-კაცი ადგა და წავიდა. მისი ძმა დაჯდა თავის ამხანაგებთან საუეზიროდ. შვიდს წელიწადს იმტვრიეს თავი ამ ნაზირ-ვეზირებმა და ჰფიქრობდნენ, რა კანონი შემოვიღოთ გლეხ-კაცობის სასიკეთოდაო. (ისმის სიცილი). იფიქრეს და დააწესეს მეჩვიდმეტე მუხლი (ისმის დიდი ხარხარი). ამ შვიდის წლის განმავლობაში-კი გლეხ-კაცი უფრო და უფრო დიდს გაჭირებაში ჩავარდა. ბოლოს, რაკი კანონი მოიფიქრეს, მოუწოდეს გლეხ-კაცს. ახლა-კი მეშველიაო, იფიქრა გლეხმა. უთხრა თავისს შვილებს: სადღესასწაულოდ შეიმოსენით, დღეს გვეშველება ყველასაო. გლეხ-კაცობასაც იმედი მიეცა. მინისტრმა აიღო და ერთი თაბახი ქაღალდი მისცა გლეხს. ზედ ეწერა კანონი გლეხ-კაცის მამულის გაყოფისა შვილებ შორის, სათაურადკი ჰქონდა: „სიფთხილით გადადგმული ნაბიჯი“ (ისმის ხარხარი). მინისტრმა უთხრა გლეხს: ახლა-კი გულდამშვიდებით შეგიძლიან გამოეთხოვო ამ წუთი-სოფელს. აი რა სწერია კანონად ამ ქაღალდზე: თუ ისე გარდაიცვალეო, რომ ანდერძი არ დასწერე და არც სამკვიდრებელი დასტოვე, გასაყოფიც არა იქნება-რა (მემარცხენენი იცინიან). თუ მოკვდი და ცოტა რამ დასტოვე და ანდერძი-კი არ დასწერე, მაშინაც გასაყოფი არა იქნება-რა (ხარხარი და სიცილი). ამ შემთხვევაში ყველაფერს შენი უფროსი შვილი მიიღებს. დანარჩენს ხელცარიელებს დასვამენ და ცოტაოდენს მისცემენ, რომ გადაჰკრას დუქანში. ეს ამ კანონსა ჰქვიან: „დაფარვა და შველა გლეხ-კაცობისა“. გლეხმა გადუკადრა ქაღალდი მინისტრს, წაავლო თავისს შვილებს ხელი და უთხრა: „წავიდეთ; თუ ჩვენს სამშობლოს ღმერთმა მალე უკეთესი სჯულ მდებელნი არ გამოუგზავნა, ყველანი დავიღუპებით“ (მემარცხენეთ მოწონების ხმა ძლიერად გაისმა; ყველა იძახდა: „ძალიან კარგია, კარგად ლაპარაკობსო!“).

# წვრილი ამბები

ამას წინად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტის ამორჩევის დროს რამდენიმე სასაცილო ნაძლევი დაუდვიათ იქაურს მცხოვრებთ. აქ მოგიყვანთ რამდენსამე ამისთანა ნაძლევს. მაგალითებრ, ვიღაც ზენყამენ გარნოს, ერთს მდიდარს ქვა-ნახშირის მრეწველის ნიუ-იორკში, ყველას გასაკვირველად, გადაუცვამს წაღების მწმენდავების ტანისამოსი და დამდგარა ერთის ისეთის ქუჩის კუთხეში, სადაც დიდძალი ხალხი დადის ხოლმე. აქ ვიღასაც ელოდებოდა თურმე. რამდენსამე წუთს შემდეგ მისულა იმავე ადგილას მისტერ ჭუდნოიტი, აგრეთვე შეძლებული მრეწველი. მისტერ გარნოს დაუჩოქნია და იმდენის ხალხის წინაშე წაღები გაუწმენდია ქუჩაში ჭუდნოიტისათვის. წაღების გაწმენდის შემდეგ ორივენი ჩამსხდარან გარნოს მშვენიერს ეტლში და წასულან. საქმე იმაში გახლავსთ, რომ გარნო და ჭუდნაიტი დანაძლევებულან—პრეზიდენტად კლიველანდს ამოირჩევენო და ნაძლევადაც წამგებს საჯაროდ მომგებისათვის წაღები უნდა გაეწმინდა. მეორე მრეწველს, არტურ გეიმანს, ამისთანავე სანაძლეო წაუგია და იძულებული გამხდარა ჩაეცვა მეწვრილმანეს ტანისამოსი და ამ გვარად ეტარებინა ერთი ყუთი საწვრილმანო, მანამ სულ გაეყიდებოდა. საქონლად ჰქონია წუმწუმა, ყარანდაშები და სხვა ამისთანა წვრილმანეულობა. დასასრულ, მესამე დამნაძლევებელს სანაძლეო წაუგია, ჩაუცვამს მასხარას ტანისამოსი, შებმულა პოვოსკაში და ისე უტარებია ვიღაც პრეისი. ამავე დროს პრეისს, მომგებს სანაძლეოსას, თეთრი ცილინდრი დაუხურავს, გაუკეთებია ამერიკის ბაირაღის ფერი ყელ-სახვევი და ისე მჯდარა პოვოსკაში. ამ ახირებულს ადამიანებს პატარა ბიჭების ბრბო ასდევნებია შტვენითა, ღოღის ცემითა და ყიყინით.

— მეფეს ისპანიისას, რადგან იმ წლოვანებას გადავიდა, როცა ძუძუსა სწოვს უმაწვილი, ეხლა გადაუწყვეტიათ აღმზრდელი ქალი დაუჭირონ. აღმზრდელად უნდათ აიყვანონ ვიღაც მისს დავენპორტი, ირლანდიელი ქალი, ისპანიაში მცხოვრებელი. მისს დავენპორტს ჯამაგირად უნდა ეძლეოდეს წელიწადში 7,000 მანეთი, ხოლო როცა თავისს სამსახურს მორჩება, მაშინ პენსია დაენიშნება თურმე სამუდამოდ წელიწადში 5,000 მანეთი.

— სტამბოლიდგან სწერენ «ჭავასის საავგენტოს»: წარსულს შაბათს, 8 ნოემბერს, რამდენიმე ჯარის-კაცი, როცა გემში სხდებოდნენ, აჯანყდნენ და ჯამაგირის თხოვნა დაიწყეს. ამ ჯარის-კაცებმა სცემეს თავისს აფიცრებს, ხოლო კაპიტანი-კი აფრაზედ მიაბეს. წესიერება მხოლოდ მაშინ ჩამოვარდა, როცა ყველას თავ-თავისი ჯამაგირი დაურიგეს. მეორეს მხრივ, ოსმალეთის ჯარში გამწესებულ გერმანელმა აფიცრებმაც მოინდომეს თავიანთი ჯამაგირი გასულის თთვებისა. სულთანმა მაშინვე ბრძანა, რომ დააკმაყოფილეთ კანონიერი სურვილი აფიცრებისაო. 160,000 მანეთი, ამ ხარჯის გასაწყობად, უკანასკნელ ახალ სესხის ანგარიშში აიღო მთავრობამ.

— ვინ გამოიცნობს, მაგარი თავის ქალა ჰქონია ამ კაცს, თუ სუსტი და დონდლო დამბაჩა ყოფილა? შტეტინის სამკურნალოში წევს ერთი ვაჭარი გრაფოველი, რომელსაც თავისისავე თავისათვის ხუთჯერ უსროლია დამბაჩა, მაგრამ არ მომკვდარა. პირველი ტყვია ისე გასჭედვია შუბლში, რომ ტკივილი სულ არ უგრძვნია და არც გრძნობა-გონება დაუკარგავს. თავის მოკვლა ძალიან გულითა სდომებია ამ ახირებულს კაცს და ორჯელ კიდევ ზედი-ზედ უსროლია ტყვია შუბლშივე. ორივე ტყვია მოხვედრია შუბლის კანს, ვერ გაუტანია და უკანვე დაცემულა. მაშინ ამ კაცს დამბაჩის ლულა მკერდისაკენ გაუშვერია და ორჯელ უსროლია, მაგრამ ამითიც მადლენი არა დაშავებია-რ, მხოლოდ სისხლის დენა დასწყებია. ეს კაცი ისე სუბუქად არის თურმე დაჭრილი, რომ ექიმები ამბობენ—ერთს კვირაზედ მორჩება და სრულიად განიკურნებაო.

## სია

### ხელ-ნაწერებისა,

რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“

ბ-ნმა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა.

(დასასრული *)

XXXI. № 1158. კათალიკოზი ანტონისაგან ქ. ვლადიმირით ორი მოკითხვის წიგნი ანჩისხატის დეკანოზ ალექსი ალექსიშვილთან მესხევთან.

XXXII. № 1159. სიტყვანი და ქადაგებანი სხვა-და-სხვა დღეთათჳს, თრმოც-დაათიოდე ჩვეულებრივი რვეული აუკინძველად, ხელ-ნაწ. მხედრული.

XXXIII. № 1160. ხელ-ნაწერი მხედრული ორი ფურცელი შეიცავს: ა) ანასტასი ანტიოქელ პატრიარქის და კირილე ალექსანდრიელის განწესებას სარწმუნოებისათჳს.

XXXIV. № 1161. ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე რვეულად აუკინძველი, 25 გვერდი, შეიცავს სხვა-და-სხვა კურთხევის წესთა.

XXXV. № 1162. „თვენი“, ხუცური ნაბეჭდია ყდაში, თავში აკლია რამდენიმე გვერდი.

XXXVI. № 1163. ხელ-ნაწერი ხუცური in 12 ყდაში, თავი და ბოლო და ზოგან შიგაც აკლია ფურცლები.

XXXVII. № 1164. ქადაგებანი, ხელ-ნაწერი მხედრული ჩვეულებრივ რვეულად აკინძული, ყდაში.

XXXVIII. № 1165. ხელ-ნაწერი მხედრული რვეულად აკინძული უყდო, შეიცავს სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივსა და ზნეობრივ მოძღვრებათა.

XXXIX. № 1166. „ათნი მცნებანი“, ხუცური ხელ-ნაწერი წიგნაკი.

XL. № 1167. „წერილი ირაკლის ასულის მარიამისაგან მიმართ როსიის ჴელმწიფის პავლესი“, საბუთი ლურჯ ქაღალდზეა ნაწერი და შავი პირი უნდა იყოს.

XLI. № 1168. ხელ-ნაწერი მხედრული აუკინძველი, ექვსი ჩვეულებრივი რვეული, ნაწერია ორ სვეტად, შეიცავს ქადაგებათა.

XLII. № 1169. ბაუმეისტერის ფილოსოფიისა ახლისა დასაბამი, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ნათარგმნი, ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე in 12, უყდო.

XLIII. 1170. ღრამატა ახლად კელდასხმულის მღვდელ-მთავრის მისაცემელი, ხელ-ნაწერი მხედრული, ნახევარი ფურცელი ლურჯ ქაღალდისა.

XLV. № 1171. ხელ-ნაწერი მხედრული, სულ ორი რვეული, შეიცავს „სწავლას პირველსა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა“.

XLVI. № 1172. ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე in-folio, თავი და ბოლო აკლია, შეიცავს თარგმანს სამღვთო წერილისას.

XLVII. № 1173. „ფოკის ჰოკოსი ანუ შეკრება სახალისოთა იშვიათთა განსაკვირვოთა და შესაქცევდ ხელის ვარჯიშთა, ს.-პეტერბურღსა შინა 1795 წელსა“, ხელ-ნაწერი მხედრული, ჩვენამდე მოუწევია მხოლოდ სასათაურო გვერდს და პინაკსსა ანუ სარჩევს.

XLVIII. № 1174. „სამოციქულო და სახარება შვიდეულთანი“, ხელ-ნაწერი ხუცური in-oflio, სულ ცხრა გვერდი.

XLIX. № 1175. დიონოს არიოპაგელის თქმულნი, ხელ-ნაწერი ზოგან მხედრული, ზოგან ხუცური, რვა რვეული აუკინძველად.

L. № 1176. ხელ-ნაწერი მხედრული in 12, თავი აკლია, ზოგი ფურცელი შუაშიაც, შეიცავს ფილოსოფიურს მსჯელობას.

LI. 1177. „ხრონოგრაფია გინა წელიწადთა აღწერა“, ხელ-ნაწერი მხედრული in-folio.

.LII № 1178. „უწინარეს ქორწინებისა“, ხელ-ნაწერი ხუცური წიგნაკი in 12, რვა გვერდი.

LIII. № 1179. ჟამნი დასდებელნი და, სახარებანი აღდგომისნი, ხელ-ნაწერი მხედრული in 12.

LVI. № 1180. წიგნი საზღვართა დავითისი უძლეველ ფილოსოფოსისა, ალავერდის დეკანოზის იოსების ხელით დაწერილი თუალავს 1791. წ. 13 აგვისტოს, გამართული დავით რეკტორისაგან.

LV. № 1181. „ზედ დადგენილობანი დოღმატიკა ღუთის მეტყუელებისანი“, მხოლოდ პირველი თავი, ხელნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე, in-folio, ორი რვეული.

LV. 1182. „საუნჯე“ ანტონ კათალიკოზის შეყვანილებით, ხელ-ნაწერი მხედრული in-folio, 15 რვეული.

LVI. № 1183. „თჳს ჴელოვნებისა ღრამატიკოსობითისა“, ხელნაწერი მხედრული, ათი რვეული.

LVII. № 1184. ხელ-ნაწერი მხედრული in-folio, 14 რვეული, შეიცავს „ეკკლესიის ისტორიას“.

LVIII. № 1185. ხელ-ნაწერი მხედრული

*) იხ. „ივერია“ №№ 236, 238, 239 და 240.

---

მისს სულსა და გულს, სადაც თითქმის ყველას ხელთ აუღია ყასბის დანა და დაუნდობლად ჰლადრავს ყელსა უმცროსთა ძმათა.

ძველად ციხე და ქალაქი, რომელიც ფრთის ქვეშა ჰქონდა ამოფარებული ციხეს, ერთის აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, ერთს აზრს ემსახურებოდნენ მუყაითად; ძველად თვით ქალაქიც, თითოეული მისი მცხოვრებელიც თვითვე ციხე იყო და ეს ციხე-კაცი მხოლოდ გაჭირების დროს მიჰმართავდა ხოლმე სამწეოდ თავისს უფროსს ძმას, გორაზედ ამაყად ამართულს ციხეს. დღეს-კი სულ სხვა სურათს ვხედავთ: ციხე დაძმარებულა, დაღონებულა, მწარედ მისტირის ძველს დროსა, ძველს დიდებას; დღეს მას შეჰკედლებიან ფრინველნი ცისანი, რომელნიც მას ჭიკჭიკ-გალობითართობენ; დღეს მას მხოლოდ მნათობთა წმინდა სხივნი ეალერსებიან; ხანდახან ჯაფისაგან დაქანცული და პატრონისაგან დაწუნებული გამხდარ-გამსჭვალი ვირი, ან ცხენი თუ შეეკედლება ხოლმე და იმისს მეიდანზე ამოსულის წმინდა ბალახით სულს მოითქვამს. კოკების ტარებისაგან ზურგგადაღლეტილი ვირი დღე და ღამ სძოვს ციხის შიგნით ბალახს და გაამაყებული მით, რომ ტკბილი ბინა იშოვნა, ალტაცებაში მოვა ხოლმე, გრძნობით გადმოჰყროყინებს ქალაქელებს და ამით ატყობინებს, რომ მხოლოდ მე, პირუტყვს ვირს, მეწვის გული ბერის ციხისათვისაო და თქვენსავით არ გავგულქვავებულვარო.

ცისკარმა კარგად შემოიმაღლა; სხივებს უხვად აბნევდა ციხის კედლებზედ და მისს ხავსს ალუდლუდებდა ათას ფრად. ბუნებაში ხმაურობა გახშირდა. ამ დროს ციხის გვერდაზედ, შესავალის კარების პირდაპირ, დიდის სიჩქარით მოდიოდა ვიღაცა შავოსანი, მოდიოდა, მაგრამ ხშირად მუხლთ ეკეცებოდა. იქნება თითონაც არ იცოდა, რად მოდიოდა ასე სისწრაფით, რად მოფორთხავდა ციხის კიბეზედ. ციხის კარს რომ მიადგა, შეჩერდა, ქარი ამოიღო; პატარა მეიდნიდამ, რომელიც ციხის კარს წინ უდევს, გადმოჰხედა ქალაქს, რომლის ბაღ-ვენახებში დაბნეულიყო სხივი ცისკრისა და აქა-იქ ხეებში ჭრაქიით ჰბჟუტავდა. ძირს მძიმედ მიიზლაზნებოდა მტკვარი, რომელსაც დაჰკონებოდა დილის ბურუსი; მტკვარს ჩამოსცქეროდა გორის-ჯვრის ეკკლესია, რომლის გუმბათს ოდნავ ელამუნებოდა ღრუბელი, თითქოს ჰსურს წმინდა ტაძარი შეისვას ფრთაზე და ზეცად აიყვანოსო.

აღელდა შავოსანი, ციხის კედელს მიანარცხა რაღაცა იარაღი, რომელმაც ცეცხლი გაჰყარა, ძალზედ წკრიალი მოიღო და შავოსანი მიახედა, მაგრამ მსწრაფლად მობრუნდა, მიაქცია მხარი წმინდა გიორგის გორი-ჯვრისას, დაემხო პირ-ქვე და დიდხანს ჩაჰკვნესოდა, ჩაჰბუტბუტებდა, ჰკოცნიდა და რაღაცას ჩასთხოვდა დედამიწას. ბოლოს მოისმა ქვითინი, რომელიც უფრო გამხეცებულის პირუტყვის ბღუილს ჰგავდა, ვინემ ქვითინს; ამოისკვნა გული და დაალტო დახავსებული კედელი ციხისა მისმა მდუღარე წყაროსავით მომდინარე სისხლის ცრემლებმა. გული რომ მოიჯერა, წამოდგა. სინათლეს ემატნა, ბინდი ღამისა თითქმის სულ მილეულიყო; ცივი ზეკარა გამოჰზუზუნებდა ციხის კარებიდამ; წითელი შუქი დასდგომიყო კედლებს; ფრინველები აშლილიყვნენ და საამურად ფარფატებდნენ. შავოსანი რეტ-დასხმული წამოვარდა; ეცა ცულს, რომელიც წელან ისე წყრომით მოისროლა, საჩქაროდ შევარდა ციხეში და ფარფატით მთვრალსავით გასწია კედელ-კედელ ციხის აღმოსავლეთისკენ. დღის სიცხადისა შეეშინდა, შეკრთა, შეჰზარა. რაღაც აწუხებდა და სწვავდა საბრალოს. როგორც იყო მიატანა ციხის ეკკლესიას, მუხლთ მოჰკვეთა და ჩაიკეცა; გულმა უცნაურად შემოჰკრა; წავიდ-წამოვიდა ქანაობით და შუბლი სიპ კლდეს დაარტყა, რომელიც საყდრის შესავალს კარებს დირედ ედო. შავოსანი ჰგრძნობდა სიკვდილს, მაგრამ გაჭირებულს გაჭირებაში ყოველივე ხელს უცარავს: იმანაც უმუხთლა და ზურგი შეაქცია. დაავლო ცულს ხელი, მაგრად მოუჭირა, თითქოს ჰსურს მისი გაწურვაო, მიწას დაარტყა და პირით შიგ ჩასვა.

— არა, მე დანაშაული არა ვარ. ღმერთი ჰხედავს და წმინდა გიორგი გორი-ჯვრისა ჩემს სიმართლეს. მე სხვა არა მინდა-რა. მე მსურს მხოლოდ ღმერთთან მართალი ვიყო და ჩემს სინიდისთან წმინდა... შენ ტყუილად გიწყრები და უსამართლოდ გეკიდები. გადაჰხედა ცულს და უთხრა: შენ დაიცავი დღეს ჩემი ნამუსი, შენ გაუნაჰყე თავი ცხრა-თავიან გველვეშაპს, რომელიც ჩემს ერთად-ერთს სასურველსა და საყვარელს საკუთრებას შეეხო, შეეხო ჩემს ნამუსსა, ჩემსას-მეთქი, ჩემის შვილის ნამუსს... მაგრამ სულ ერთია, ისიც ჩემია, ჩემი სისხლია, ჩემი. დაავლო ისევ ცულს ხელი, გულში მიიხუტა, მიიცქნაფა და ზედ დაანდო გახურებული თავი.

ფრინველები მთლად აიშალნენ ციხეში ბუდეებიდამ; ყვავებმა შეჰქმნეს ჩხავილი; გადააფრინდ - გადმოაფრინდნენ შავოსანს, თავს დაჰფარფატებდნენ და ჩაჰყრანტალებდნენ. გულმა ძგერა, სულმა კვნესა დაუწყო. მის გარშემო ყველა ხარობს, კოწიაწობს, ბუნებას ეალერსება, შესტრფის; შავოსანი-კი ოხრავს; მის სულსა და გულში ჯოჯოხეთის ალი ტრიალებს. იგი კვალად დაემხო საყდრის კარებთან სიპს კლდეზედ, ჩაჰქვითინა; დააფრქვია ცხარე ცრემლი კლდეს. უეცრად წამოვარდა და საშინელის ხმით წამოიყვირა:

— ვაიმე, შვილებო!.. მართლა შვილებო!.. ვაი თქვენს დედას!! წაივლო ორივე ხელი თავში და გამოქანდა ციხიდამ.

იმ დროს, როდესაც შავოსანმა ასე საშინლად დაიყვირა და გამოეშურა ციხიდამ, სწორედ მაშინ მთელი ქალაქი ფეხზე იდგა: გარბოდნენ და გამორბოდნენ; უკანა წინას მისდევდა და მიიძახოდა:

— რა ამბავია, რა ამბავია?

— ყაზარ სტეფანიჩისთვის შიგ ძირში მოუთლიათ თავი, ამბობდნენ მოწინავენი და გარბოდნენ ყაზარას სახლისაკენ.

ს. მგალობლიშვილი

(დასასრული იქნება)

ჩვეულებრივ რვეულის სახით აკინძული, შეიცავს სხვა-და-სხვა მოძღვრება-ქადაგებათა.

LIX. № 1186. ხელ-ნაწერი მხედრული ორ სვეტად ნაწერი in-folio, აკლია ბევრს ალაგს, შეიცავს ყოველ დღეზე გაწესებულ სამღთო მსახურებას და ლოცვას.

LX. № 1187. „თჳს კელოვნებისა ღრამატიკოსობისა“, 1800 წ. მაისის 21 დავით რეკტორისგან გამართული, ხელნაწერი მხედრული in-folio, ლურჯ ქაღალდზე, ყდაში.

LXI. № 1188. ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე in-folio, თავში და ბოლოში აკლია ოციოდე გვერდი, შეიცავს „ამირან დარეჯანისძის ამბავს“.

LXII. № 1189. ხელ-ნაწერი მხედრული, ლურჯ ქაღალდზე in-folio, თავში აკლია, სულ მხოლოდ ორი რვეულია. შეიცავს: ა) თქმულებას ქრისტეს შობისათჳს; ბ) გრიგორი ღუთის მეტყველის სიტყვას ეპიტაფიად დიდისა ბასილისა.

# დეპეშა

1 დეკემბერი

ბუქარესტი. აქ 1889 წლის 15 იანვარს დედოფალი ნატალია თავისს შვილს ინახულებს.

რომი. კრისპიმ გამოაცხადა პარლამენტში, რომ ამას იქით იტალია აბისინიაში სხვა ადგილების დაპყრობას აღარ შეუდგებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 157½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

რუსეთს ერთი-ხუთად მეტს სესხს აძლევენ მარტო საფრანგეთში, ვიდრე თვით რუსეთს უნდა საჭირო სასესხებელი აილოს.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25, დეკემბერი 31 დღით არის.

2 დღე პარასკევი. მოციქ. ავაკუმისა. კათოლ. მოც. ავაკუმისავე. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-11 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 4—31. მთვარე 12 დღისაა.

3 დღე შაბათი. წინ-მეტყ. სოფონიასი. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. წმ. მოც. და სომეხთა პირველ განმანათლებელ თადეოზისა და ბართლომეისა. მაჰმად. მე-12 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 4—31. მთვარე 13 დღისაა.

4 დღე კვირა. წმ. დიდ-მოწ. ბარბარესი. კათოლ. წმ. ბარბარესივე. მაჰმად. მე-13 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ანასტასიასი. კათოლ. კრისპინასი. სომეხ. წმ. ევგენარიასი და მეომ. მერკურიასი. მაჰმად. მე-14 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32. მთვარე 15 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | ს ა ღ ა მ ო თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი

საპოლიტიკო და სამხატვრო გაზეთი

## თეატრი

1889 წელს გამოვა ყოველ კვირა.

რედაქციამ მიიღო ყოველი ღონისძიება, რომ გაზეთი უკეთესად ემსახურებოდეს თავისს საქმეს და გამოდიოდეს ყოველთვის თავისს დროზედ. ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის რედაქციაში, ბანკის ქარვასლაში. წლიური ფასი არის 5 მ., ნახევარ-წლიური—3 მ. და თითო ეგზემპლიარი ჰღირს 15 კ.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის გაზეთის დასაბარებელი ადრესი შემდეგია: Тифлисъ. Редакція газеты „Театръ“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნებიერიძე

(3—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | „ | 35 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ, 1-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე